

მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარების (CPD) დებულება

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“

მედიატორთა განგრძობადი  
პროფესიული განვითარების დებულება



დეკემბერი  
2021 წელი

## **მუხლი 1. მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარების არსი, მნიშვნელობა და მიზანი.**

- 1.1 განგრძობადი პროფესიული განვითარება გულისხმობს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობას მედიატორებისთვის. პროფესიული განვითარების მიზანია მედიატორთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავება მედიაციის მომხმარებელთა სასარგებლოდ და საკუთარი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.
- 1.2 პროფესიული განვითარება განგრძობადი პროცესია, რომლის ფარგლებშიც მედიატორები ფოკუსირებას ახდენენ პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე, საკუთარი ძლიერი მხარეების თვით-შემეცნებაზე და იმ სფეროების იდენტიფიცირებაზე, რა მიმართულებითაც მათ დამატებითი მუშაობა და გაუმჯობესება ესაჭიროებათ.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.**

- 2.1. წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს ამავე დებულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **განგრძობადი პროფესიული განვითარება / გ.პ.გ (CPD) ”** ნიშნავს პროფესიული განვითარების საქმიანობას, რომელიც მოცემულია წინამდებარე დებულებით და დამტკიცებულია სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციაც“-ის საერთო კრების მიერ.

ბ) **„პროფესიული განვითარების სამსახური“** - სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს გ.პ.გ-ს ფუნქციონირებას.

გ) **“სასაწავლო პროგრამა”** ნიშნავს პროგრამას, რომელიც შეთავაზებულია პროფესიული განვითარების სამსახურის მიერ.

დ) **“ლონისძიება”** ნიშნავს საგანმანათლებლო სემინარს, სამუშაო შეხვედრას ან კონფერენციას. ლონისძიება წარმოადგენს მკაფიოდ დამტკიცებულ გ-პ-გ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს წევრის უნარების, ცოდნისა და კომპეტენციის განვითარებას.

ე) „პროვაიდერი“ ნიშნავს აკრედიტირებულ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს გ.პ.გ.-ს პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგ/სემინარები.

ვ) „პერიოდი“ - რომლის განმავლობაშიც მედიატორი ვალდებულია დაასრულოს გ-პ-გ.-ს პროგრამით გათვალისწინებული გ.პ.გ. საათები.

ზ) „გ.პ.გ საათი“ - ორ წლიანი გ.პ.გ პროგრამით გათვალისწინებული დასაგროვებელი საათების რაოდენობა.

თ) „გ.პ.გ აღრიცხვის ჟურნალი“ - წინამდებარე დებულების დანართი #1-ით განსაზღვრული ფორმა.

### მუხლი 3. განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემა

- 3.1 სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემა ემყარება ორ-წლიან ციკლს, რომლის მანძილზე თითოეული მედიატორი ვალდებულია დააგროვოს პროფესიული განვითარების 20 საათი.
- 3.2 ჩვეულებრივ, სასწავლო ღონისძიების ერთი ასტროლოგიური საათი გულისხმობს ერთ განგრძობადი პროფესიული განვითარების საათს.

### მუხლი 4. განგრძობადი პროფესიული განვითარების მინიმალური მოთხოვნები

- 4.1 განგრძობადი პროფესიული განვითარების ქვემოთ განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ყველა წევრზე.
- 4.2 კალენდარული წლის მანძილზე ყოველი წევრი ვალდებულია:
  - იყოს მედიატორი ან თანამედიატორი წელიწადში არანაკლებ 2 მედიაციის სესიაზე (4 სამედიაციო სესია ყოველ 2 წელიწადში )
  - ორი კალენდარული წლის მანძილზე დაესწროს განგრძობადი პროფესიული განვითარების მინიმუმ 20 საათს, საიდანაც მინიმუმ 4 საათი იქნება დათმობილი მედიატორთა პროფესიულ ეთიკას.

### მუხლი 5. საგამონაკლისო შემთხვევები

- 5.1 განგრძობადი პროფესიული განვითარების ვალდებულებებისგან განთავისუფლების საფუძვლებს წარმოადგენს ქვემოთ შემთხვევები:
  - 5.1.1. წევრები, რომლებსაც მიმდინარე კალენდარული წლის მანძილზე მიენიჭება პროფესორის აკადემიური ხარისხი მედიაციაში და/ან ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას მედიაციის მიმართლებით განთავისუფლებიან მიმდინარე კალენდარული წლის განგრძობადი

პროფესიული განათლების სისტემით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან, გარდა ეთიკის ტრენინგის დასწრების ვალდებულებისა.

- 5.2 განთავისუფლების საფუძვლები, რაც განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს მიერ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში:
- 5.2.1. წევრს, რომელიც მიმდინარე კალენდარული წლის მანძილზე გამოსცემს წიგნის ან/და გამოაქვეყნებს სტატიას მედიაციის სფეროში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განთავისუფლდეს მიმდინარე წლის გ.პ.გ ვალდებულო საათების დაგროვების ვალდებულებისგან სრულად ან ნაწილობრივ, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში
- 5.2.2. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არ შეუძლია გ.პ.გ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში დასწრება, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში.

## **მუხლი 6. განგრძობადი პროფესიული განვითარების სისტემის მოქმედების და პერიოდი**

- 6.1 სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში“ 2022 წლის 1 იანვრამდე გაწევრიანებულ პირთათვის 2 წლიანი ციკლის ათვლა იწყება 2022 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 2022 წლის 1 იანვრის შემდგომ გაწევრიანებულ წევრთა ორ წლიანი გ.პ.გ საათის დაგროვების მიზნებისთვის აითვლება მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

## **მუხლი. 7 პასუხისმგებლობა**

- 7.1 განგრძობადი პროფესიული განვითარება ეფუძნება ეთიკურ პრინციპს, კერძოდ, ნებისმიერ მესამე პირს (კლიენტს) უფლება აქვს, მიიღოს კომპეტენტური და შესაბამისი უნარების მქონე პრაქტიკოსი მედიატორის მომსახურება. ამრიგად, თითოეულ მედიატორს აქვს პასუხისმგებლობა, შეინარჩუნოს და განავითაროს საკუთარი ცოდნა და პროფესიული უნარები.
- 7.2 სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თითოეულ წევრ მედიატორს ეკისრება პასუხისმგებლობა უზრუნველყოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული გ.პ.გ საათების დაგროვება.
- 7.3 წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული პირობების და მოთხოვნების არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, წევრ მედიატორს შეუჩერდება სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრობა, იქამდე სანამ არ მოხდება მის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის გ.პ.გ საათების დაგროვება.
- 7.4 პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს ასოციაციის წევრობა ორ წელზე მეტი ვადით, ასოციაციის წევრობის აღდგენის შემდეგ ვალდებულია თანამედიატორის სტატუსით ჩაებას მედიაციის პროცესში პირველ ორ სამედიაციო საქმეზე და განახორციელოს გპგ საათების დაგროვება წინამდებარე დებულების შესაბამისად.

## მუხლი 8. გ.პ.გ ჟურნალის წარმოება.

- 8.1 ასოციაციის წევრმა უნდა აღრიცხოს თავისი გპგ საქმიანობა „გპგ აღრიცხვის დოკუმენტის“ გამოყენებით, რომელშიც უნდა შეიტანოს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ამ დებულებით დადგენილი გპგ მოთხოვნების შესრულებაში. გპგ აღრიცხვის დოკუმენტის ნიმუში თან ერთვის წინამდებარე დებულებას
- 8.2 გპგ აღრიცხვის დოკუმენტის დანიშნულებაა:
  - ასოციაციის წევრის მიერ გპგ სისტემის და მოთხოვნების შესრულების მიზნით დეტალური ჩანაწერების წარმოება;
  - თითოეული წევრის უზრუნველყოფა პირადი განვითარების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტით;
  - ასოციაციისთვის მისი წარდგენა და ასოციაციის მიერ მისი განხილვა.
- 8.3 გპგ აღრიცხვის დოკუმენტში მიეთითება თარიღები, საათები, თემები, ტრენერის, პრეზენტატორის, გამომსვლელის ვინაობა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია ყველა იმ ღონისძიების და საქმიანობის შესახებ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ასოციაციის გპგ სისტემის და ამ დებულების მოთხოვნების შესრულებაში.
- 8.4 გპგ აღრიცხვის დოკუმენტს განიხილავს ასოციაციის პროფესიული განვითარების სამსახური (შემდგომში „პგს“).
- 8.5 გპგ აღრიცხვის დოკუმენტის სათანადოდ წარდგენიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში პგს აბრუნებს დოკუმენტს ერთ-ერთი მითითებით:
  - გპგ აღრიცხვა წარმოებულია ჯეროვნად. ასოციაციის გპგ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ახალი გპგ პერიოდის დაწყება ნებადართულია; ან
  - გპგ აღრიცხვა არ არის წარმოებული ჯეროვნად ან წარმოებულია ჯეროვნად, მაგრამ ასოციაციის გპგ მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული ახალი გპგ პერიოდის დაწყების მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში, წევრს მიეცემა მკაფიო განმარტება და რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად.
- 8.6 ამ დებულების და ასოციაციის გპგ სისტემის მოთხოვნების შესრულების მიზნით გპგ საქმიანობის სწორად აღრიცხვა და აღრიცხვის დოკუმენტის წარმოება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ასოციაციის თითოეული წევრის კეთილსინდისიერებაზე.
- 8.7 მედიატორებმა CPD-ის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის წარდგენა უნდა განხორციელონ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.

## მუხლი 10. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის თემები გ.პ.გ. (CPD) საათების მოპოვების მიზნით

- 9.1 იმის გათვალისწინებით, რომ CPD პროგრამების მიზანია აკრედიტებული / რეგისტრირებული მედიატორების უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება, მიზანშეწონილია, რომ შემდგომი სწავლება და/ან ტრენინგი მოიცავდეს ისეთ თემებს, როგორცაა:
- კომუნიკაციის უნარები
  - მოლაპარაკება და პრობლემის გადაჭრა
  - პარტნიორობა / ალიანსის შექმნა
  - კონფლიქტის მართვა / თავიდან აცილება
  - ქოუჩინგი კონფლიქტის შესახებ
  - ფასილიტაცია
  - აღდგენითი მართლმსაჯულება
  - ტრენინგი მედიაციის კონკრეტულ სექტორში (მაგალითად, საოჯახო, ფინანსური, სამშენებლო, სამედიცინო, სათემო, გარემოსდაცვითი, კულტურათაშორისი)
  - სამართალი არა-იურისტებისთვის
  - იურისტებთან / იმ მხარეებთან მუშაობა, რომელთაც წარმომადგენელი არ ჰყავთ
  - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ადვოკატირება
  - თანა-მედიაცია
  - მორიგების შესახებ შეთანხმებები
  - მედიაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა
  - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა პროცესები.
  - მედიაციის გაუმჯობესებული უნარები
  - დავების გადაწყვეტის ალტერნატიული პროცესები
- 9.2 სხვა კურსები ან ტრენინგები, რომლებიც არ შედის ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებში განიხილება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ინდივიდუალურად.

## მუხლი 11. გ.პ.გ. ღონისძიებაზე რეგისტრაციის წესი.

- 10.1 გ.პ.გ. ღონისძიებაზე რეგისტრირება ხორციელდება სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ პროფესიული განვითარების სამსახურის მიერ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს დამტკიცებული წესის შესაბამისად.
- 10.2 ასოციაციის მიერ დაორგანიზებული გ.პ.გ ღონისძიება ფასიანია, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

## მუხლი 12. გარდამავალი დებულება

- 11.1 წინამდებარე დებულება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.